განკარგულება:**g-31. 31241493**
თარიღი:**28/05/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №28

2024 წლის 28 მაისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,სქაიტელისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, შპს „სქაიტელ“-ს (ს/კ 400013748) გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

ა) ქ. ლანჩხუთში ნინოშვილის ქუჩა N 37 -ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141.01.502 - შენობა ნაგებობის ძირითადი კოდი 27.06.52.141) პირველ სართულზე არსებული 336,03 კვ.მ. ფართიდან ოთახი N 35 (13,99კვ.მ);

ბ) სოფელ სუფსაში ყოფილი ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 27.15.52.294) პირველ სართულზე არსებული ფართი N3 17,70 კვ.მ. (ს/კ 27.15.52.294.01.503).

მუხლი 2. პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უძრავი ქონება შპს „სქაიტელ“-ს სარგებლობის უფლებით გადაეცეს 5 (ხუთი) წლის ვადით, ხოლო უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს, საბაზრო ღირებულების 14 746 (თოთხმეტიათას შვიდასორმოცდაექვსი) ლარის - 20 % რაც შეადგენს 2 949,2 (ორიათასცხრაასორმოცდაცხრა ლარი და ოცი თეთრი) ლარს.

მუხლი 3. . პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უძრავი ქონება შპს „სქაიტელ“-ს სარგებლობის უფლებით გადაეცეს 2 (ორი) წლის ვადით, ხოლო უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს, საბაზრო ღირებულების 3801,40 (სამიათას რვაას ერთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარის - 65 % რაც შეადგენს 2470,90 (ორიათას ოთხას სამოცდაათი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარს.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი